პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 277 (12191) | პარასკევი, 8 დეკემბერი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

ჩვენი გეგმები გრანდიოზულია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია



სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1962 წლის სახელმწიფო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი ასახავენ სკკპ XXII ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებს, ითვალისწინებენ ეკონომიკისა და კულტურის ახალ მძლავრ აღმავლობას, ხალხის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას. ეს აზრები იყო გამოთქმული საბიუჯეტო და ეკონომიური კომისიების თავმჯდომარეების დეპუტატების **მ. ა. იასნოვისა** და **ო. ი. ივაშჩენკოს** (ეროვნებათა საბჭო) თანამოხსენებებში, საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **ი. ს. სენინის** (კავშირის საბჭო) თანამოხსენებაში, საღამოს სხდომაზე გამოსულ დეპუტატთა სიტყვებში.

საბიუჯეტო კომისიებმა ანალიზი გაუკეთეს მასალებს, რომლებიც ახასიათებენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საქმიანობას. ამასთან დაკავშირებით ისინი მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, მთელი რიგი სახალხო მეურნეობის საბჭოების ყურადღებას მიაპყრობდნენ იმას, რომ განუხრელად უნდა შესრულდეს საწარმოო გეგმები, აკრიტიკებდნენ საწარმოებს, რომლებიც მთლიანად არ იძლევიან საჭირო რაოდენობით პროდუქციას, ზოგჯერ უშვებენ ნაკლოვანებებს, რომელთა ხარისხი ვერ აკმაყოფილებს მშრომელთა მოთხოვნებს. თანამშრომლებმა შესაძლებლად მიაჩნიათ დაკმაყოფილდეს ზოგიერთი რესპუბლიკის თხოვნა ასიგნებათა გადიდების, საკავშირო ბიუჯეტის გასავლის ნაწილის გადიდების შესახებ.

ო. ი. ივაშჩენკომ აღნიშნა მრეწველობის განვითარების სწრაფი, მყარი ტემპი, ძირითადი საწარმოო ფონდების სწრაფი განახლება და განაცხადა, რომ 1962 წლის ბიუჯეტი თითოეულ ეკონომიურ რაიონს, თითოეულ რესპუბლიკას უსახავს ახალ საუცხოო პერსპექტივებს. მან აღნიშნა, რომ საჭიროა უკეთ გამოვიყენოთ სახსრები, რომლებიც დაგეგმილია მშენებლობის, ტექნიკური პროგრესის საჭიროებისათვის, სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებათა აგებისათვის, საზოგადოებრივი კვებისათვის.

ეროვნებათა საბჭოს და კავშირის საბჭოს კომისიების თავმჯდომარეებმა შეიტანეს წინადადება, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი სახალხო მეურნეობის გეგმა და ჩვენი ქვეყნის ახალი წლის ბიუჯეტი სათანადო ცვლილებებით და დამატებებით.

იწყება კამათი მოხსენებათა გამო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1962 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და 1960 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

დეპუტატთა მოკლე, მაგრამ მკაფიო სიტყვები გვიხატავენ საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი შრომის ფართო სურათს. მომავალ წელს ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ავა ეკონომიკა, უფრო მდიდარი გახდება ჩვენი ქვეყნის სულიერი ცხოვრება. დეპუტატები ლაპარაკობენ საწარმოთა, კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობების კოლექტივების უდიდეს ენთუზიაზმზე, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებს.

უკრაინელ ხალხს, რომელიც მთლიანად და სავსებით იწონებს და მხურვალედ უჭერს მხარს საბჭოთა მთავრობის ლენინურ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ღირსეული წვლილი შეიტანოს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, განაცხადა დეპუტატმა **ვ. ვ. შჩერბიცკიმ** (უკრაინის სსრ). სამი წლის წინათ რესპუბლიკის მშრომელებმა სიტყვა დადეს შეასრულონ შვიდწლიანი დავალებანი წარმოების დონის მიხედვით 5-6 წელიწადში. ეს გალდებულება წარმატებით ხორციელდება, უკვე წელს უკრაინის მრეწველობა მთლიანი პროდუქციის გამოშვების მიხედვით მიაღწევს 1962 წლისათვის საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებულ დონეს, ხოლო მეტალურგიულ მრეწველობა მომავალი წლის მეოთხე კვარტალში ფოლადისა და ნაგლინის წარმოების მიხედვით მიაღწევს შვიდწლედის დამლევისათვის დაგეგმილ დონეს.

ეს წარმატებანი კარგი საფუძველია 1962 წელს სამრეწველო წარმოების მოცულობისა და ზრდის ტემპის შემდგომი გადიდებისათვის; ეს სავსებით შეესაბამება რესპუბლიკის ეკონომიკის შესაძლებლობებს. კვლავ სწრაფი ტემპით განვითარდება მეტალურგიული, ქიმიური, მანქანათმაშენებელი, სათბობის მრეწველობა, ელექტროენერგეტიკა, აგრეთვე მსუბუქი და კვების მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგები.

წარმატებანი, რომლებსაც სოფლის მეურნეობამ მიაღწია წელს, უფლებას გვაძლევენ ვამტკიცოთ, რომ უკრაინა საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების წარმოების განვითარებაში მაჩვენებლების შემდგომ გაუმჯობესებას მიაღწევს 1962 წელსაც.

დეპუტატი **დ. ფ. ფილიმონოვი** (ბელორუსიის სსრ) აგრეთვე იწონებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1962 წლის სახელმწიფო გეგმას და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტს, რომლებიც წარმოდგენილია საუცხოო ენერგეტიკული ბაზა, ბევრად გადიდდება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება. მშრომელთა სახელით დეპუტატმა განაცხადა, რომ ბელორუსი ხალხი მთელ თავის ძალღონეს მოახმარს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეს.

შვიდწლედი კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლის დიდმნიშვნელოვანი ეტაპია, თქვა ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ს. დაულენოვმა.** იგი დეპუტატებს აცნობებს, რომ ყაზახეთის მშრომელები მზად არიან აიღონ სახალხო მეურნეობის განვითარების უფრო დაჩქარებული ტემპი, ვიდრე მთლიანად ჩვენს ქვეყანაში. კრემლის მაღალი ტრიბუნიდან ორატორი პიროობას აძლევს დეპუტატებს, რომ რესპუბლიკის მშრომელები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა უკვე 1962 წელს მკვეთრად გაადიდონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება. ახლა რესპუბლიკის ეკონომიურ რუკაზე, განაგრძობს ორატორი, გაჩნდა ყაზახეთისათვის ბევრი უჩვეულო ნიშანი—ფერადი ლითონებისა და პურის ყანების მხარეს დაიწყო თუჯის, კოქსის, სინთეზური კაუჩუკის ექსკავატორების წარმოება. ს. დაულენოვი ამბობს, რომ ჩვენი ქვეყნის განვითარების 1962 წლის გეგმა უზრუნველყოფს ყაზახეთის ეკონომიკისა და კულტურის ყოველ მხრივ განვითარებას. არა მარტო ყაზახეთის სსრ არამედ აგრეთვე ყველა სხვა რესპუბლიკა ახალი გეგმის შესაბამისად წინ წასწევს სახალხო მეურნეობას. ამის შესახებ, კერძოდ, ილაპარაკა სესიაზე ყირგიზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ტ. კულატოვმა.** რესპუბლიკის მშრომელებმა წელს სახელმწიფოს მიჰყიდეს მეტი ბამბა, შაქრის ჯარხალი, მატყლი და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები, ვიდრე 1960 წელს. უახლოეს ოცწლეულში ყირგიზი ხალხის წინაშე ისახება ახალი დიდებული პერსპექტივები. ყირგიზეთი გახდება უმნიშვნელოვანესი ენერგეტიკული ბაზა, სადაც მოღებული იქნება ყველაზე იაფი ელექტროენერგია ჩვენს ქვეყანაში.

დეპუტატმა თქვა, რომ რესპუბლიკის მშრომელები სძღვევენ სოფლის მეურნეობის ჩამორჩენას. მან გააკრიტიკა სახელმწიფო ეკონომიური საბჭო იმისათვის, რომ იგი ნელა განიხილავს მდინარე ნარინის ენერგეტიკული ათვისების სქემებს — პროექტს, რომელსაც დიდი მომავალი აქვს. დასასრულ ტ. კულატოვს შეაქვს წინადადება დამტკიცდეს 1962 წლის გეგმა და ბიუჯეტი—საბჭოთა ხალხის მშვიდობიან მისწრაფებათა დადასტურება.

მოსკოვის სახალხო მეურნეობის განვითარებაზე ილაპარაკა თავის გამოსვლაში მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ, დეპუტატმა **ნ. ა. დიგაიმ.** უკანასკნელ ექვს წელიწადში დედაქალაქმა 50 პროცენტით გაადიდა მრეწველობის პროდუქციის გამოშვება. საწარმოები ალიპურვება თანამედროვე ტექნიკით. მწყობრში დგება ახალი ნაკადური და ავტომატური ხაზები. მომდინარე წლის თებერვალში თვის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. ამ სესიის გახსნის დღისათვის მშენებლებმა ჩააბარეს 3 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ააგეს 43 ახალი სკოლა.

ამხ. დიგაი შემდეგ ამბობს, რომ სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებში ხაზგასმულია კაპიტალდაბანდების ეფექტიანობის გადიდების საჭიროება. ამის მიხედვით, მოსკოვში ახალ წელს კაპიტალდაბანდების 90 პროცენტი ხმარდება დაწყებული ობიექტების დამთავრებას. ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობას.

კომუნიზმის მშენებლობა მოითხოვს მასების შემოქმედებითი აქტივობის ახალ ზრდას. ამის შესახებ ლაპარაკობდნენ სესიაზე გამოსულნი. ისინი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ საბჭოთა ხალხი მთლიანად იწონებს იმას, რომ სკკპ XXII ყრილობამ გადაჭრით დაგმო მარქსიზმ-ლენინიზმისათვის უცხო სტალინის პიროვნების კულტი, და ღონისძიებებს, რომლებიც პარტიამ მიიღო პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების, პარტიისა და სახელმწიფოს ყველა რგოლში კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპების აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის. მოლოტოვის, მალენკოვის, კაგანოვიჩის, სხვა ფრაქციონერების ანტიპარტიული ჯგუფის მხილებამ და საბოლოო იდეურმა განადგურებამ ფართო გზა გაუხსნა ხალხის ინიციატივის, პოლიტიკური და შრომითი აქტივობის უმაგალითო ზრდას.

7 დეკემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია განაგრძობდა მუშაობას.

(საკუთარი).

სამხედრო-თეორიული კონფერენცია

მოსკოვი, 6 დეკემბერი. (საკუთარი). დღეს საბჭოთა არმიის მ. ვ. ფრუნზეს სახელობის ცენტრალურ სახლში გაიხსნა სამხედრო-თეორიული კონფერენცია თემაზე: „გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურება მოსკოვთან“. მის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანები — გენერლები, ადმირალები და ოფიცრები, აგრეთვე დედაქალაქის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

კონფერენცია გახსნა საბჭოთა არმიის ცენტრალურ სახლთან არსებული სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარემ თადარიგის გენერალ-პოლკოვნიკმა, ვ. ი. ვოსტრიკოვმა.

დიდი ყურადღებით მოისმინეს მოსკოვთან ბრძოლების მონაწილის თადარიგის პოლკოვნიკის ვ. პ. ციგანკოვის გამოსვლა. მან დაახასიათა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი როლი დედაქალაქის დაცვისა და მოსკოვთან გერმანელ ფაშისტი ოკუპანტების განადგურების ორგანიზაციაში.

ამხ. ვ. პ. ციგანკოვმა ილაპარაკა აგრეთვე მოსკოვის მცხოვრებთა შრომითის გმირობაზე.

1941 წლის ოქტომბერ-ნოემბრის მრისხანე დღეებში დედაქალაქის 500 ათასზე მეტი მცხოვრები იღებდა მონაწილეობას თავდაცვით ნაგებობათა მშენებლობაში.

კონფერენციაზე მოხსენებანი გააკეთეს თადარიგის პოლკოვნიკმა ა. ვ. გოლუბევმა, გენერალ-მაიორმა ა. ვ. ვასილიევმა და სხვებმა.

კონფერენცია განაგრძობს მუშაობას.

გუშინ პრემლში

მოსკოვი, 7 დეკემბერი. (საკუთარი). მუშაობას განაგრძობს სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია. დღეს დილიდანვე კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს პალატების ცალ-ცალკე სხდომებზე, რომლებიც მიმდინარეობდა კრემლის დიდ სასახლესა და კრემლის თეატრის შენობაში, ხალხის რჩეულნი განიხილავდნენ სესიის განსახილველად შეტანილ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1962 წლის სახელმწიფო გეგმასა და ჩვენი ქვეყნის 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს.

კავშირის საბჭოს სხდომაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის დეპუტატ ვ. ნ. ნოვიკოვისა და სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ვ. თ. გარბუზოვის მოხსენებათა გამო კამათში გამოვიდნენ: **რ. ყურბანოვი** (უზბეკეთის სსრ), **ა. ი. ზოლოვი** (ბელორუსიის სსრ), **ნ. ბაირამოვი** (თურქმენეთის სსრ), **ა. ტ. ვეიმერი** (ესტონეთის სსრ), **შ. მ. გასანოვა** (აზერბაიჯანის სსრ), **ა. ე. ჭოჩინიანი** (სომხეთის სსრ), **მ. მ. ლელაშვილი** (საქართველოს სსრ), **ი. ი. მატულისი** (ლიტვის სსრ), **ს. კ. ტოკა** (ტუვის ასსრ), **გ. ა. ემელიანენკო** (უკრაინის სსრ), **ა. კახაროვი** (ყირგიზეთის სსრ), **ა. ვ. კირენსკი** (კრასნოიარსკის მხარე).

ეროვნებათა საბჭოს სხდომაზე კამათში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა: **ი. ლ. ზამურამ** (უკრაინის სსრ), **მ. რახმატოვმა** (ტაჯიკეთის სსრ), **გ. ა. გეგეშიძემ** (საქართველოს სსრ), **ნ. ა. იგნატოვამ** (უზბეკეთის სსრ), **ნ. ი. კრასნობაევმა** (ლატვიის სსრ), **ა. ა. ანალიევმა** (თურქმენეთის სსრ), **ი. ი. პალეციკისმა** (ლიტვის სსრ), საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა **ლ. ნ. სულოვიოვმა**, **ს. ა. ვეზიროვმა** (აზერბაიჯანის სსრ), **ა. ა. ტაალბერგმა** (ესტონეთის სსრ), **ნ. ა. შჩელოკოვმა** (მოლდავეთის სსრ), **ს. ხ. თევოსიანმა** (სომხეთის სსრ).

* * *

პალატების საღამოს სხდომებზე გრძელდებოდა კამათი. **კავშირის საბჭოში** გამოვიდნენ: **ლ. ი. ანანიევი** (მოსკოვის ოლქი), სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრი დეპუტატი **ნ. დ. ფსურცევი**, **კ. კ. ისაჩენკო** (ყაზახეთის სსრ), **ტ. რ. კიანი** (ალტაის მხარე), **ს. მ. ისლიუკოვი** (ჩუვაშეთის ასსრ), **ს. ა. სტეპანოვი** (სვერდლოვსკის ოლქი).

ეროვნებათა საბჭოში კამათში მონაწილეობდნენ: **პ. ფ. მოროზოვი** (ხაკასეთის ავტონომიური ოლქი), სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი დეპუტატი **ს. ვ. კურაშოვი**, **ს. გ. ხანიპოვი** (თათრეთის ასსრ), სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **მ. ი. უურავლიოვა**, **მ. ა. ორლოვი** (კორიაკეთის ეროვნული ოკრუგი), **ბ. დ. ზანგიევი** (ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ).

შენთვის, სამშობლოვ, შენთვის, პარტიავ!

ეს დღეები ჩვენს რესპუბლიკაში

ბ ა ხ ა რ ა ძ ე. (საკ. კორ.). აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის კოლექტივმა (დირექტორი დ. ჭეიშვილი) ვადაზე ერთი თვით ადრე შეასრულა პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება. გამოშვებულია 5.799 ათასი მანეთის პროდუქცია ნაცვლად გეგმიან გათვალისწინებული 5.725 ათასი მანეთისა.

ფაბრიკის კოლექტივი ახლა იმისათვის იბრძვის, რომ წლის ბოლომდე ქვეყანას მისცეს სულ ცოტა ერთი მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

ა ხ ა ლ ი ხ ე. (საკ. კორ.). ახალციხელი აქატის მომპოვებლები ახალი შრომითი გამარჯვებებით უპასუხებენ შომბლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. აქატის მაღაროთა სამმართველოს კოლექტივმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა აქატის ამოღების ათი თვის გეგმა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდა შურდოს საექსპლოატაციო უბანი, რომელსაც სამთო საქმის ოსტატი, ინჟინერი ლ. შურდაია ხელმძღვანელობს. ამ უბანმა უკვე შეასრულა აქატის მოპოვების წლიური დავალება და სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მისცა 10 ათასი მანეთის პროდუქცია.

ბ ო რ ჯ ო მ ი ს რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა პირნათლად შეასრულეს სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი. მათ ვადამდე გაანადგეს სახელმწიფოსათვის ხორცის, მატყლისა და თივის მიყიდვის წლიური გეგმები.

სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება.

ბ ა კ ა ი ა ს მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმის კოლექტივმა თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია. მეფრინველეებმა ვადაზე ორი თვით ადრე გადაჭარბებთ შეასრულეს წლიური დავალება. ფეითეულ კვერცხმდებელ ქათამზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 100 ცალისა, მიღებულია 106 ცალი კვერცხი.

ფერმის კოლექტივმა პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პასუხად ვალდებულება იკისრა წელს დეკა-სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს 50 ათასი ცალი კვერცხი.

ხ. კუბავა.

სწავლობენ დიად დოკუმენტებს

ს ო ხ უ მ ი. საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო და სოხუმის საქალაქო კომიტეტების პოლიტიკური განათლების სახლში ჩატარდა პარტიული კომიტეტების ლექტორთა, კონსულტანტთა, სემინარების ხელმძღვანელთა, პროპაგანდისტთა და მეთოდიური საბჭოების წევრთა ორდღიანი სემინარი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის მასალების პროპაგანდის საკითხებზე.

პირველ დღეს სემინარზე გამოვიდა სკკპ XXII ყრილობის დელეგატი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. მ. ბღაჟბა.

სემინარზე აგრეთვე მოსმენილ იქნა მოხსენებები: მ. კოგანისა — „თანამედროვე მსოფლიო და საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“, შ. ხუბუტიასი — „კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა მთავარი ეკონომიური ამოცანაა“, ხ. არგუნისა — „სკკპ ახალი პროგრამა კომუნიზმის აშენების პროგრამაა“ და სხვ.

პარტიის XXII ყრილობის მასალების შესწავლის ფორმებისა და მეთოდების შესახებ სემინარზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდიხა და აგიტაციის განყოფილების გამგე მ. ხვარწკია.

ფ ი ლ ა ვ ი. თეორიულ კონფერენციას, რომელიც პარტიის რაიკომმა მოაწყო, პროპაგანდისტები, აგიტკოლექტივის ხელმძღვანელები, აგიტპუნქტის გამგეები, ლექტორები, მოწინავე აგიტატორები დაესწრნენ. დოცენტმა ნ. მალუძემ მოხსენება წაიკითხა თემაზე: „კაპიტალიზმი უკანასკნელი ექსპლოატატორული წყობილებაა“, დოცენტმა გ. პაპავამ — „სოციალიზმის მსოფლიო სისტემა“, დოცენტმა ა. მეტრეველმა — ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი“, დოცენტმა ი. ყაჟიურმა „სოციალიზმი და მშვიდობა განუყრელია“ და სხვ.

პარტიის რაიკომისა და პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თელავის განყოფილების ლექტორებმა პარტიის XXII ყრილობის დიადი დოკუმენტების ირგვლივ სამოცზე მეტი ლექციი წაიკითხეს. (საკ. კორ.).

ზ ე ს ტ ა ფ ო ნ ი ს ფეროშენადნობთა ქარხნის № 1 საღნობ საამქროში კარგი შრომითი მაჩვენებლებით გამოირჩევა № 3 ღუმელზე მომუშავე კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც გიორგი კვეტენაძე ხელმძღვანელობს. ბრიგადა ყოველთვიურ დავალებას გადაჭარბებით ასრულებს და გეგმის ზევით უშვებს ათობით ტონა მაღალხარისხოვან ფეროშენადნობს. **ს უ რ ა თ ზ ე:** № 3 ღუმელზე მომუშავე კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი გ. კვეტენაძე.

ფოტო გ. გერსამიასი (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲚ ᲜᲘᲕᲗᲣᲠᲗᲐ ᲓᲐᲣᲪᲚᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲐ

ᲯᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). მიწისქვეშა გამონამუშევრებში გვირაბების ჩქაროსნული მეთოდით გაყვანის დანერგვით სახელი გაითქვა მაღაროთა „ახალი ითხვისის“ კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც მაღნის მტვირთავი მანქანის მემანქანე უ. კაპანაძე ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ ერთ თვეში გვირაბი გაიყვანა 270 მეტრზე. ეს დიდი მიღწევა იყო მარგანეცის მრეწველობაში. უ. კაპანაძის კომუნისტური შრომის ბრიგადის ეს საამაყო მაჩვენებლები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მოხვდა.

ახლახან სასიხარულო ცნობა მოვიდა. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა საგამოფენო კომიტეტის საბჭოს დადგენილებით ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში გვირაბების ჩქაროსნული მეთოდით გაყვანის დანერგვისათვის გამოფენის მედლებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოებულია ნოვატორ-მაღაროელთა ჯგუფი. ვერცხლის დიდი მედლით დაჯილდოებულია კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, მაღნის მტვირთავი მანქანის დახელოვნებული მემანქანე უ. კაპანაძე, ვერცხლის პატარა მედლით დაჯილდოებულია ბრიგადის წევრი, მაღნის მტვირთავი მანქანის მემანქანე მ. გაგნიძე. ამ მეთოდის დანერგვაში მონაწილეობისათვის ბრინჯაოს მედლით და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოებული არიან მბურღავები ვ. მანჯავიძე და ვ. ბუხრაშვილი, მებიგე ბ. კაპანაძე, უბნის უფროსი ვ. ეჯიბაძე და სხვ.

ᲨᲠᲝᲛᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲜᲘ

ᲓᲐᲜᲘᲡ რაიონის სოფელ მუქედის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში წელს 200 ჰექტარი სიმინდი დათესეს, აქედან 75 ჰექტარი მაღალმოსავლიანი იყო, რომლის თვითეულ ჰექტარზე 60 ცენტნერი უნდა მიეღოთ მარცვლად. 65 ცენტნერი სიმინდი მოიყვანეს იმ ნაკვეთებზე, სადაც გეგმით 35 ცენტნერი უნდა მიეღოთ, ხოლო მაღალმოსავლიან ნაკვეთებზე — 70 ცენტნერი.

სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანაში განსაკუთრებით ისახელეს თავი ბკაკი ბოლქვაძისა და ზურაბ კორძაძის ბრიგადებმა, რომლებმაც ჰექტარზე 75 ცენტნერი სიმინდი მიიღეს. მოწონებულ მესიმინდეებმა ი. გუმბერიძემ, ვ. მინაშვილმა, მ. კორძაძემ და სხვებმა ჰექტარზე 80 ცენტნერი სიმინდი მოიყვანეს.

ბ. ახობაძე.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მოქალაქეთა სარგებლობაში მყოფი მიწის ნაკვეთების სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაწესდეს, რომ მოქალაქეთა სარგებლობაში მყოფი მიწის ნაკვეთების სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევა, გარდა კოლმეურნეობის მიერ გამოყოფილი საკარმიდამო ნაკვეთებისა, წარმოებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით.

2. ნაგებობანი, რომლებიც მოთავსებულია ჩამოსართმევ მიწის ნაკვეთზე შეიძლება აღებულ ან გადატანილ იქნას სხვა ადგილზე, თუ არის ამის ტექნიკური შესაძლებლობა. ნაგებობათა მესაკუთრეს, ნაგებობის გადატანისათვის მიწის ნაკვეთი გამოეყოფა იმ შემთხვევაში, თუ არის ამის საშუალება და თვით მესაკუთრე თანახმაა.

საკითხს ნაგებობის გადატანისა და მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესაძლებლობის შესახებ წყვეტს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

3. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების ჩამორთმევასთან დაკავშირებით მოქალაქეთა პირადი საკუთრების ნაგებობის აღებისას მესაკუთრეს აუნაზღაურდება ნაგებობის ღირებულება სადაზღვევო შეფასების მიხედვით. ხოლო ნაგებობა გადადის იმ საწარმოს ან ორგანიზაციის განკარგულებაში, რომელთა სასარგებლოდაც ჩამოერთვა მიწის ნაკვეთები. ნარგავებისა და ნათესების ღირებულება და სხვა ხარჯები, აგრეთვე იმ მოწყობილობის ღირებულება, რომლის გადატანა არ შეიძლება, ანაზღაურდება დადგენილი ნორმატივებით, მათი გაცვეთის გათვალისწინებით. მოქალაქეთათვის კოლექტიური და ინდივიდუალური სარგებლობის ბოსტნებისა და ბაღებისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე გაშენებულ მწვანე ნარგავების ღირებულების ანაზღაურება არ ხდება.

იმ პირებს, რომლებიც ასაღებ ნაგებობებში ცხოვრობენ, საცხოვრებელი ფართობი მიეცემათ დაინტერესებული უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ან მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ იმავე ქალაქში, დაბაში და სოფელში.

ნაგებობების მესაკუთრეებს, მათი ოჯახის წევრებსა და კმაყოფაზე მყოფ პირებს, აგრეთვე ძირითად მობინადრეებს, მათი ოჯახის წევრებს და კმაყოფაზე მყოფ პირებს, რომლებიც ცხოვრობენ არა ნაკლებ ერთი წლისა ასაღებ სახლებში და საცხოვრებელ ფართობზე უფლება აქვთ, მიეცემათ საცხოვრებელი ფართობი არა ნაკლებ იმისა, რაც მათ ფაქტიურად ეკავათ, მაგრამ არა უმეტეს სანიტარული ნორმისა, რომელიც დაწესებულია მოცემული ადგილისათვის.

საგარაჯო ნაგებობათა აღებისას მესაკუთრეებს სამაგიერო საცხოვრებელი ფართობი არ მიეცემათ, არამედ აუნაზღაურდებათ ნაგებობის ფაქტიური ღირებულება.

4. მესაკუთრეებს, რომლებმაც თავისი ხარჯით გადაიტანეს ნაგებობები, აუნაზღაურდებათ ახალ ადგილზე ნაგებობებისა და ნარგავების გადატანის ხარჯები დადგენილი ნორმატივების მიხედვით.

თუ ნაგებობათა და ნარგავთა ახალ ადგილზე გადატანა მოახდინა საწარმომ, დაწესებულებამ ან ორგანიზაციამ, რომლებისათვისაც წარმოებს მიწის ნაკვეთების გამოყოფა და ახალ ადგილზე გადატანილ ნაგებობათა ღირებულება აღემატება ღირებულებას მათ გადატანამდე (ცალკეული დეტალების ახლით შეცვლის, ახალი, საშენი მასალების გამოყენების და სხვათა შედეგად), მესაკუთრეები გადაუხდიან ნაგებობათა ღირებულების სხვაობას იმ საწარმოს, დაწესებულებას ან ორგანიზაციას, რომელმაც მოახდინა ნაგებობათა და ნარგავთა გადატანა.

ნაგებობათა გადატანისას ძირითად მობინადრეებს, მათ, ოჯახის წევრებს და კმაყოფაზე მყოფ პირებს მიეცემათ საცხოვრებელი ფართობი ამ ბრძანებულების მე-3 მუხლით დადგენილი პირობებით.

5. მიწის ნაკვეთების ჩამორთმევასთან დაკავშირებით პირები, რომლებიც ნებაყოფლობით არ ათავისუფლებენ მათ მიერ დაკავებულ საცხოვრებელ ფართობს იმ სახლებში, რომლებიც აღებულ ან გადატანილ უნდა იქნას, აგრეთვე საგარაჯო ნაგებობებს, რომლებიც აღებულ უნდა იქნას, გამოსახლდებიან ადმინისტრაციული წესით მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაამტკიცოს დებულება მოქალაქეთა სარგებლობაში მყოფი მიწის ნაკვეთების სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის წესისა და მიწის ნაკვეთების ჩამორთმევასთან დაკავშირებით ნაგებობათა აღებისა და გადატანის ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

7. ამ ბრძანებულების მიღებასთან დაკავშირებით ჩაითვალოს ძალადაკარგულად:

ა) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 13 მაისის დადგენილება „მიწების ჩამორთმევის დროს ზარალისა და გამოუყენებელი დანახარჯის ანაზღაურების წესის შესახებ“ (კან. კრ. 1931 წ. № 12, მუხ. 215);

ბ) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 17 სექტემბრის დადგენილება „სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწების ჩამორთმევის წესის შესახებ“ (კან. კრ. 1931 წ. № 21, მუხ. 215);

გ) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქ

კომუნიზმი დღეს

თაოსნობა, ჯემპი!..

დეპო მოსკოვი — დამხარისხებელი ბრიგადის ხელმძღვანელს ვ. სტანილევიჩს

ძვირფასო მოსკოველო თანამოსაქმეებო!

თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივის ცხოვრებაში დაუვიწყარი იქნება 5 დეკემბერი. ამ დღეს ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ხალხები სიამაყითა და სიხარულით აღნიშნავენ საბჭოთა კონსტიტუციის დღეს. ამავე დღეს გაზეთ „კომუნისტის“ სამუალებით მივიღეთ, ძვირფასო მეგობარო, თქვენი წერილი.

ჩვენი სიხარული გაორკეცდა. მიუხედავად იმისა, რომ დასვენების დღე იყო, გაზეთში ბევრს წაეკითხა თქვენი წერილი და ყველა ქარხნის ეზოსაკენ მოეშურებოდა. დიდხანს ვსაუბრობდით დეპო მოსკოვი-დამხარისხებლის წარსულზე, თქვენს წარმატებებზე. მაგრამ გულახდილად უნდა გითხრათ, რომ ყველას ერთი რამ აწუხებდა, რომელ ბრიგადას შეხვდებოდა წილად გაეჩაღებინა სოციალისტური შეჯიბრება თქვენს სახელოვან ბრიგადასთან.

ქარხნის ტერიტორიაზე ჯვიან საღამომდე არ შეწყვეტილა ბრიგადის ხელმძღვანელების, ცალკეული მოწინავე ადამიანების ფუსფუსი.

მეორე დღეს ვინც კი იცოდა თქვენი წერილის ამბავი, ყველა ადრე მოვიდა სამუშაოზე... და აი ჩვენი ბრიგადის სახელით გწერთ ბარათს.

თქვენი დეპოს და თქვენი ბრიგადის წარმატებები დიდად გვახარებს და ახალი შრომითი საქმეებისათვის აღგვაფრთოვანებს. მაგრამ სიხარულით უნდა გაცნობო, რომ საშობოლოს წინაშე არც ქართველი ელმავალმშენებლები არიან ვალში.

1956 წლამდე ჩვენი ქარხანა აწარმოებდა ელმავლების შეკეთებას. საწარმოს ინჟინერ-ტექნიკოსებმა ღრმად შეისწავლეს საწარმოს ყველა უბნის შესაძლებლობა, კადრების ტექნიკური განათლება და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ საწარმოს თავისი ძალებით შეეძლო ახალი ელექტრომავლის წარმოების ათვისება. ქარხნის კოლექტივის სახელით საკითხი დააყენეს მთავრობის წინაშე. თბილისელ ელმავალმშენებლთა ეს ინიციატივა საბჭოთა მთავრობამ მოიწონა და 1957 წლიდან შევუდექით ელმავლების წარმოებას.

ქარხნის კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მოკლე დროში ითვისა ელმავლის ყველა ძირითადი კვანძის წარმოება და მიმდინარე წელს 1958 წელთან შედარებით საგრძნობლად გაზარდა ელმავლების მშენებლობა.

ამ წარმატებებით აღფრთოვანებული ჩვენი ქარხნის კოლექტივი შვიდწლედის დავალებათა ვადაზე ადრე შესრულების ინიციატორად გამოვიდა და ვალდებულება იკისრა 1963 წლისათვის აითვისოს შვიდწლედით დასახული საპროექტო სიმძლავრენი. ამ დროისათვის ჩვენი რესპუბლიკა ელმავლების მშენებლობის დარგში უკან მოიტოვებს ისეთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყანას, როგორიც საფრანგეთია.

ქარხნის წარმატებები განპირობა იმან, რომ მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა ახალი ტექნიკის დანერგვისა და შრომატევად სამუშაოთა ავტომატიზაციის დარგში.

ელექტრომანქანების საამქროში მოეწყო წევის ძრავის კორპუსების დამუშავების ნაკადური ხაზი. რისთვისაც დამონტაჟებულ იქნა მთელი რიგი უნივერსალური და სპეციალური შიგამჩარხავი და შიგამრანდავი ჩარხები.

ამ ნაკადურ ხაზს მიემატა კიდევ ორი სპეციალური შიგამჩარხავი და 16 შპინდელიანი საბურღი აგრეგატული ჩარხი, რომლის სამუალებით ერთდროულად წარმოებს წევის ძრავის კორპუსების პოლუსების 16 ნახვრეტის გაბურღვა, რაც წინათ რადიალურ საბურღავ ჩარხზე სრულდებოდა. ამ მანქანის ათვისებით წევის ძრავის კორპუსის გაბურღვაზე შრომის ნაყოფიერება 16 პროცენტით გაიზარდა. საერთოდ ნაკადური ხაზის დანერგვით წევის ძრავის კორპუსის დამუშავების საწარმოო ციკლი 23 საათით შემცირდა.

სექციებსა და კოჭების საამქროში წევის ძრავის ღუზის გრაგნილებისათვის საჭირო ლენტისებური სპილენძის დაჭრაზე წინათ ორი კაცი მუშაობდა. ამჟამად მათი შრომა შეცვალა ქარხანაში დამზადებულმა ავტომატურმა ჩარხმა.

მექანიკურ საამქროში დამონტაჟებულ და ამუშავებულ იქნა 10-ზე მეტი ავტომატური ჩარხი, რომლებიც ელმავლის დეტალებს ამზადებენ. ამ ჩარხებს მეთვალყურეობას უწევს მხოლოდ ერთი კაცი. ქარხანაში ფართოდ ინერგება დეტალების თავისუფალი დამუშავებიდან დატვიფრვაზე გადაყვანა, რაც საწარმოს დიდ ეკონომიურ ეფექტს აძლევს.

ქარხანაში დაამონტაჟეს და აამუშავეს ღუზის რკინის ფურცლების გასალაქი კონვეიერი. ელექტრომანქანების საამქროში მოეწყო ნაკადური ხაზები წევის ძრავისა და დამხმარე მანქანების ლილვების დასამუშავებლად.

ქარხნის კოლექტივი მიღწეულით როდი დაკმაყოფილდა. საწარმოს ინჟინრები და კონსტრუქტორები, ნოვატორები და რაციონალიზატორები დაუცხრომლად იბრძვიან მოქმედი ელმავლების გაუმჯობესებისათვის.

ჯერ კიდევ შარშან მუშაობა დავიწყეთ ახალი ელმავლის ტ-8 შესაქმნელად. ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა, რომ ახალ გაუმჯობესებულ საცდელ ელმავალს ააწყობდა და საჩუქრად მიუძღვნიდა სკკპ XXII ყრილობას. სახელოვანმა კოლექტივმა პირობა შეასრულა. ყრილობის გახსნამდე გამოუშვა პირველი საცდელი ელექტრომავალი, რომელმაც ადგილობრივ გზებზე გამოცდა ბრწყინვალედ ჩაიბარა.

ეს ელმავალი საბჭოთა კავშირში დღემდე გამოშვებულ ელმავლებს შორის ყველაზე მძლავრად ითვლება. მისი სიმძლავრე 7.072 ცხენის ძალას უდრის და 25 პროცენტით აღემატება სერიული 8-ღერძიანი ელმავლის სიმძლავრეს, ხოლო მისი წონა 8 ტონით ნაკლებია ამ უკანასკნელთან შედარებით. ახალი ელმავლის კონსტრუქციული სიმძლავრე 100 კილომეტრია საათში.

აბხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა საქართველოში ყოფნის დროს დაათვალიერა ჩვენი ქარხანა და ქართველ ელმავალმშენებლებს ნახელავი მოგვიწონა. მან ასე შეაფასა ელმავალმშენებლების ინიციატივა:

„თბილისელ მუშათა ინიციატივით, რომელიც საბჭოთა მთავრობამ მოიწონა, ერთ-ერთი ძველი სარემონტო ქარხანა ამჟამად გადაქცეულია ელმავლების წარმოების უმსხვილეს საწარმოდ. და ქართველ ამხანაგებს შეუძლიათ იამაყონ იმით, რომ თბილისში გაკეთებული ელმავლები დადიან ჩვენი დიადი ქვეყნის ბევრ ფოლადის მაგისტრალებზე“.

კოლექტივის ამ საერთო წარმატებაში ჩემი ბრიგადა ვალში როდის არის. იმ დღიდან, რაც ჩემი ბრიგადა შვიდწლიანი გეგმის ვადამდე განხორციელებისათვის ბრძოლაში ჩაება, სისტემატურად ვზრდით მუშაობის ტემპს, ვაუმჯობესებთ ხარისხს. ბრიგადის მუშაობაში მტკიცედ დავნერგეთ კომუნისტური შრომისა და ყოფაცხოვრების ჩვენები. ამის შედეგად ბრიგადამ დროს დაუსწრო და ახლა 1964 წლის ანგარიშში ვმუშაობთ.

ყრილობის გადაწყვეტილებით აღფრთოვანებულმა ბრიგადის წევრებმა ერთსულოვნად გადავწყვიტეთ შვიდწლედის ბოლოსათვის შევასრულოთ ათი წლის დავალება და გამოვუშვათ მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქცია.

შვიდწლედის ბოლოსათვის ჩემი ბრიგადის ყველა წევრს ექნება საშუალო განათლება, ხოლო ბრიგადის სამი წევრი ისწავლის უმაღლეს სასწავლებელში და წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მიიღებენ ინჟინრის დიპლომებს.

ამ დიდი ვალდებულების შესრულების საქმეში დიდად დაგვეხმარება, ძვირფასო ამხანაგო ვასილ, თქვენი კომუნისტური შრომის ბრიგადის მდიდარი გამოცდილება.

იმედს გამოვთქვამ, თქვენთან შეჯიბრებაში არ შევრცხვებით. გულითადი სალამი გადაეცი ქართველი თანამოსაქმეებისაგან თქვენს სახელოვან კოლექტივს, ბრიგადის ყველა წევრს.

ჩვენი ქარხნის კოლექტივის სახელით გთხოვთ გვესტუმროთ და პირადად გადმოგვცეთ თქვენი მუშაობის მდიდარი გამოცდილება.

შეხვედრამდე, ძვირფასო მეგობარო სტანილევიჩ.

ანზორ კეკლიშვილი,

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის ღუზების დამხვევთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი.

ᲢᲠᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

[illegible] ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ

[illegible] XXII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ [illegible] ᲚᲔᲑᲘ, ᲡᲙᲙᲞ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲘᲜᲐᲓᲠᲔᲑᲐᲡ, ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲘ Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲗᲮᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲢᲐᲢᲘᲙᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲘᲓᲔᲝᲑᲘᲗ ᲨᲘᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲛᲘᲠᲩᲔᲣᲚᲘ 8.000-ᲛᲓᲔ ᲐᲒᲘᲢᲐᲪᲘᲝᲠᲘ. ᲧᲕᲔᲚᲐ (ᲡᲣᲚ 41) ᲐᲘᲢᲐᲪᲘᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲚᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ. ᲨᲔᲡᲐᲛᲩᲜᲘᲕᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲪᲣᲚᲚᲐ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲩᲘᲜᲝ ᲐᲒᲘᲢᲐᲪᲘᲐ. ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲚᲣᲑᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲔᲬᲧᲝ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲔᲑᲘ, ᲨᲔᲘᲕᲡᲝ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲐ ᲡᲢᲔᲜᲓᲔᲑᲘ. ᲑᲘᲒᲠᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲚᲝᲖᲝᲜᲒᲘ ᲓᲐ ᲞᲚᲐᲙᲐᲢᲘ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲛᲘᲬᲔᲣᲚᲔᲑᲘᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲡ.

ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲠᲕᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡᲢᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲐ ᲛᲘᲜᲐᲜᲘᲡ ᲑᲝᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲮᲓᲐ ᲬᲘᲚᲐᲓ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲔᲪᲔᲛ ᲡᲙᲙᲞ XXII ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ. ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲝᲔᲬᲧᲝ ᲗᲐᲗᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲛᲣᲨᲔᲑᲗᲐᲜ, ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡᲢᲗᲐᲜ. ᲜᲝᲛᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲬᲐᲙᲘᲗᲮᲣᲚᲘᲐ 80 ᲚᲔᲥᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲚᲨᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲔᲪᲐᲛᲔᲠᲜᲔᲑᲝᲡ ᲡᲙᲙᲞ XXII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲬᲐᲚᲔᲚᲐᲓ ᲝᲠ ᲞᲘᲠᲗᲔᲚᲘ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ. ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲠᲘᲒᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ ᲘᲧᲝ: „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ�პᲘ: ᲕᲘᲜᲪ ᲐᲠ ᲛᲣᲨᲝᲑᲡ, ᲘᲡ ᲐᲠ ᲭᲠᲐᲕᲡ“. ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲘᲛᲐ ᲓᲐᲬᲧᲝᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲖᲔ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲝᲛᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡᲐᲙᲔᲜ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲗᲔᲛᲐ ᲘᲧᲝ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ, ᲛᲘᲡᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ“.

ᲡᲙᲙᲞ XXII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲔᲑᲘ, ᲨᲔᲘᲕᲡᲝ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲢᲔᲜᲓᲔᲑᲘ. ᲑᲘᲒᲠᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲚᲝᲖᲝᲜᲒᲘ ᲓᲐ ᲞᲚᲐᲙᲐᲢᲘ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲛᲘᲬᲔᲣᲚᲔᲑᲘᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲡ.

ᲡᲙᲙᲞ XXII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲔᲑᲘ, ᲨᲔᲘᲕᲡᲝ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲢᲔᲜᲓᲔᲑᲘ. ᲑᲘᲒᲠᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲚᲝᲖᲝᲜᲒᲘ ᲓᲐ ᲞᲚᲐᲙᲐᲢᲘ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲛᲘᲬᲔᲣᲚᲔᲑᲘᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲡ. ᲛᲔᲠᲘᲜᲒᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ.

ᲡᲙᲙᲞ XXII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲔᲑᲘ, ᲨᲔᲘᲕᲡᲝ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲢᲔᲜᲓᲔᲑᲘ. ᲑᲘᲒᲠᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲚᲝᲖᲝᲜᲒᲘ ᲓᲐ ᲞᲚᲐᲙᲐᲢᲘ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲛᲘᲬᲔᲣᲚᲔᲑᲘᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲡ. ᲛᲔᲠᲘᲜᲒᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ.

ᲡᲙᲙᲞ XXII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲬᲐᲚᲔᲚᲐᲓ ᲝᲠ ᲞᲘᲠᲗᲔᲚᲘ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ. ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲠᲘᲒᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ ᲘᲧᲝ: „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ�პᲘ: ᲕᲘᲜᲪ ᲐᲠ ᲛᲣᲨᲝᲑᲡ, ᲘᲡ ᲐᲠ ᲭᲠᲐᲕᲡ“. ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲘᲛᲐ ᲓᲐᲬᲧᲝᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲚᲐᲪᲐᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ ᲘᲧᲝ

დიდი ასამბლეა

პროფკავშირთა V მსოფლიო კონგრესი

ВСЕМИРНЫЙ КОНГРЕСС ПРОФСОЮЗОВ · МОСКВА 4-16 XII 1945

ფესტივალ დღეა კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობს პროფკავშირთა V მსოფლიო კონგრესი — მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის ყველაზე წარმომადგენლობითი ასამბლეა. 6 დეკემბერს გრძელდებოდა ლუი საიანისა და იბრაჰიმ ზახარიას მოხსენებების განხილვა.

თავმჯდომარემ — პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარემ, სრულიად ინდოეთის პროფკავშირთა კონგრესის გენერალურმა მდივანმა ს. ა. დანგემ გამოაცხადა, რომ ახლა კონგრესის მუშაობაში მონაწილეობს 940 დელეგატი, რომლებიც წარმომადგენენ 93 ქვეყნის პროფკავშირებს.

პირველი დილის სხდომაზე გამოვიდა მავრიკის კუნძულის შრომის ფედერაციის თავმჯდომარე ლ. ბადრი. კონგრესის ყველა დელეგატი, ამბობს იგი, მუშათა კლასის ერთი ძმური ოჯახის წევრია. ლ. ბადრი მადლობას უძღვნის პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას კონგრესის მოწყობისათვის, იმის შესაძლებლობისათვის, რომ ერთად განიხილონ პრობლემები, რომლებიც ეხება მთელი მსოფლიოს ადამიანებს, განსაკუთრებით მუშათა კლასს.

ლ. ბადრი აღნიშნავს, რომ მის სამშობლოში განუხრელად ვითარდება მუშათა კლასის მოძრაობა. კოლონიური ხალხები, ამბობს იგი, იმდენად ძლიერნი არიან, რომ შეუძლიათ იბრძოლონ კოლონიალიზმის წინააღმდეგ.

ავსტრალიის პროფკავშირული მოძრაობის განვითარების შესახებ ილაპარაკა ამ ქვეყნის პროფკავშირთა ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, საამქროს მამასახლისმა ჰარი ვებმა. ავსტრალიის პროფკავშირები ენერგიულად იბრძვიან ხალხის პოლიტიკური უფლებებისა და საარსებო ინტერესებისათვის. მათ მოქმედება უხდებათ განსაკუთრებით მძიმე პირობებში. ფედერალური ხელისუფალნი, რომლებიც თავგამოდებით იცავენ მსხვილ მრეწველთა ინტერესებს, ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა შეიჩერონ მათი საქმიანობა. ჯარმა, აქტივისტების დევნა, მასობრივი დათხრეხა, სხვა რეპრესიები ჩვეულებრივი მოვლენაა ავსტრალიაში. მაგრამ მუშათა კლასი როდი წყვეტს ბრძოლას. ფართოვდება გაფიცათა ტალღა. გფიცავებში მონაწილეობენ მელითონეები, მეზღვაურები, დოკერები.

უნგრეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს გენერალურმა მდივანმა იანოშ ბრუტომ განაცხადა, რომ კომუნიზმის მშენებლობის მსოფლიო-ისტორიულ პროგრამას, რომელიც სკკპ XXII ყრილობამ მიიღო, სიხარულით და აღფრთოვანებით მიესალმა მთელი პროგრესული კაცობრობა. ეს პროგრამა აღაფრთოვანებს მთელი მსოფლიოს მშრომელებს, განსაკუთრებით საერთაშორისო მუშათა მოძრაობას.

უნგრეთის პროფკავშირები სავსებით უჭერენ მხარს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის პოლიტიკას. უნგრეთის დელეგაცია იწონებს და იღებს მოხსენებებს, რომლებიც კონგრესზე წაიკითხეს, აგრეთვე მოქმედების პროგრამის პროექტს, რომელიც ამ კონგრესზე ეკამათება. ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთის ტიფოგრაფიის მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობენ პროფკავშირები.

კონგრესის საღამოს სხდომაზე გამოვიდა ფრიკის მშრომელთა წარმომადგენელი, რომლებმაც ილაპარაკეს პროფკავშირული მოძრაობის განვითარებაზე თავიანთ ქვეყნებში და მის შემდგომ ამოცანებზე. ამაზე ილაპარაკა ალუალემ — ჯიბუტის (სომალი) პროფკავშირთა გაერთიანების თავმჯდომარემ. მან მოიწყოდა კონგრესის მონაწილე პროფკავშირულ ორგანიზაციებს მორალური და მატერიალური დახმარება გაუწიონ სომალის პროფკავშირებს.

კონგრესს მეთვალყურეობდ ესწრებიან ნიგერის მშრომელთა წარმომადგენლები. მათი სახელით სტუდენტ ამბობს პროფკავშირთა ეროვნული გაერთიანების გენერალური მდივანი ადდულაი მამანი, მან განაცხადა, რომ დელეგაციის ორი წევრი ვერ ჩამოვიდა კონგრესზე: ისინი დაპატიმრა ნიგერის მთავრობამ და გადასახლებული არიან ნიგერის უდაბურ რაიონებში. ვერფერი ვერ აიძულებს ნიგერის ხალხს უარი თქვას იმ მთავარ მიზანზე, რომ მოიპოვოს ნამდვილი ეროვნული დამოუკიდებლობა და განთავისუფლდეს ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან, აცხადებს კონგრესის ტრიბუნიდან ადდულაი მამანი.

კოლონიალიზმის ბოროტის — ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტების წინააღმდეგ აფრიკის ხალხთა ბრძოლას მიუძღვნა თავისი გამოსვლა ზანზიბარისა და პემბიის შრომის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ალმედ ფირი ბასანმა. იგი მხურვალედ მიესალმა სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომელმაც ხალხებს დაუსახა კომუნიზმის გზა. ჩვენ, აღნიშნავს ალმედ ფირი ბასანი, მთელი რიგი კონკრეტული დასკვნები გამოვიტანეთ ამ ისტორიული ყრილობის შედეგებიდან.

გულისწყრომით ილაპარაკა ფრანგ კოლონიზატორებზე ალჟირის მშრომელთა საყოველთაო კავშირის გენერალურმა მდივანმა ალი იბანია ალდენურმა, რომელიც მეთვალყურედ ესწრება კონგრესს. ალჟირელი ხალხი, ამბობს იგი, უკვე შვიდ წელზე მეტია სასტანსმფრეელ ომს აწარმოებს კოლონიალიზმის რეჟიმის წინააღმდეგ, თავისი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ეს ომი, რომელმაც ალჟირელი ხალხის უკვე მილიონზე მეტი შვილის სიცოცხლე შეიწირა, გახდა დროება ყველა კოლონიური ხალხის ბრძოლისა თავიანთ მჩაგვრელთა წინააღმდეგ. ალი იბანია აბდენურმა განაცხადა, რომ ალჟირის კოლონიურ ომში საფრანგეთის მთავრობა სარგებლობს ნატის მხარეჭერით. ნატო რომ არ უწევდეს დახმარებას, საფრანგეთი შვიდი წლის განმავლობაში ვერ შეძლებდა ეწარმოებინა ეს სამარცხვინო ომი, რომელსაც სასტიკად გმობენ მთელი პროგრესული ძალები. მათ შორის საფრანგეთის მშრომელებიც.

მხურვალედ მიიწონა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის საქმიანობა თავის სტუდენტში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პროფკავშირთა ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარემ ტან დანგ ტიუენმა. იგი აცხადებს, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია იყო ალბილ, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლის ერთ-ერთ ერთ-ერთ ინტერესებს, ხალხთა ნაყოფიერი საერთაშორისო თანამშრომლობა. გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი გამოყენების კომიტეტის ეფექტიანი მუშაობა შეიძლება უხრუნველყოფილ იქნეს თანასწორი წარმომადგენლობისა და თანხმობის პრინციპის დაცვის საფუძველზე.

ეს ხაზგასმით აღნიშნა თავის გამოსვლაში აგრეთვე უკრაინის სსრ დელეგატმა ლ. კიზიამ, რომელმაც დაწვრილებითი ანალიზი გაუკეთა ოთხი ქვეყნის რეზოლუციის პროექტს.

ოთხი ქვეყნის რეზოლუციის პროექტი, რომელიც წარმოდგენილია პოლიტიკური კომიტეტის განსახილველად, თქვა ლ. კიზიამ, შეიცავს ზოგიერთ დადებით ელემენტს, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყონ საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას კოსმოსის გამოყენების საქმეში, მაგრამ ეს პროექტი მოიხოვს, კერძოდ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს დაეკისროს კოსმოსის შესწავლისა და გამოყენებასთან დაკავშირებული მრავალი სპეციფიკური ამოცანა.

ასეთი ამოცანები სრულიად უზვეულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოსათვის. ისინი უნდა დაეკისროს სწორედ კოსმოსის კომიტეტს. ოთხი ქვეყნის რეზოლუციის პროექტი აგრეთვე გვერდს უვლის უმნიშვნელოვანეს საკითხს კომიტეტის მუშაობის პროცედურის შესახებ. კოსმოსის კომიტეტის მიერ გადაწყვეტილებათა მიღება ხომ არ უნდა დაიშალოს ხმის მეკენილური უმრავლესობით. უნდა გონივრულად, მოთმინებით და ბეჯითად ვეძებოთ გადაწყვეტილებანი, რომლებიც მისაღები იქნება ყველასთვის. არადამაკმაყოფილებელია აგრეთვე რეზოლუციის პროექტის დებულება კომიტეტის შემადგენლობის შესახებ.

კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე უნგრეთის, ალბანეთას, შვეიცის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და იაპონის წარმომადგენლები.

კოსმოსური სივრცე — მშვიდობის სამსახურში

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 7 დეკემბერი. (საკვლევი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტი განაგრძობდა გაერთიანებ ბ უ ლ ი ერების ორგანიზაციის კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი გამოყენების კომიტეტის მოხსენების განხილვას.

მოხსენების განხილვის მსვლელობაში კვლავ და კვლავ დასტურდება საბჭოთა დელეგაციის პოზიციის საფუძვლიანობა კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი გამოყენების კომიტეტის შემადგენლობისა და მისი მუშაობის პრინციპების შესახებ. როგორც ცნობილია, ამ კომიტეტის 24 წევრიდან 12 წევრი დასავლეთის ბლოკებში შემავალი ქვეყნების წარმომადგენლები არიან. იცავს რა ნაყოფიერი საერთაშორისო თანამშრომლობის პრინციპს, საბჭოთა დელეგაცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა კოსმოსის კომიტეტის ისეთი შემადგენლობა, როცა მასში თანასწორ საფუძველზე წარმოდგენილი იქნებს სახელმწიფოთა ყველა ძირითადი დაჯგუფება. უფრო მეტიც, ისწრაფვის რა სავსებით აღმოიფხვრას კოსმოსის კომიტეტის მიერ ისეთ გადაწყვეტილებათა მიღების ყოველგვარი შესაძლებლობა, რომელნიც შეესაბამებიან სახელმწიფოთა რომელიმე ერთი დაჯგუფების ინტერესებს, საბჭოთა დელეგაციას წინადადება შეაქვს, რომ კომიტეტმა გადაწყვეტილებები მიიღოს ერთხმივობის პრინციპის საფუძველზე.

მაგრამ დასავლეთის ბლოკებში შემავალი ქვეყნების წარმომადგენელთა გამოსვლები მოწმობენ, რომ მათ ჯიუტად არა სურთ ანგარიში გაუწიონ ამ ლოგიკურ წინადადებებს, რომლებიც, აქვე რომ ითქვას, შემოაქვს იმ ქვეყანას, რომელიც პირველმა გაუკაფა კაცობრიობას კოსმოსის გზა. ამ მხრივ საგულისხმოა ბელგიის დელეგატის გამოსვლა დღეგანდელ სხდომაზე. ბელგიის დელეგატმა იმედი გამოთქვა, რომ სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები შეძლებენ მიაღწიონ შეთანხმებას კოსმოსის კომიტეტის მუშაობის მსვლელობაში. მაგრამ ეს საგანგებად თქვა, რომ იგი ეწინააღმდეგება ერთხმივობის პრინციპს კომიტეტის მუშაობაში.

რაც შეეხება კომიტეტის შემადგენლობას, „ბელგიის დელეგატის აზრით, ეს საკითხი წარმატებით გადაჭრილია". რეზოლუციის პროექტში, რომელიც წარმოადგინეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ავსტრალიამ, იტალიამ და კანადამ, ეს პროექტი წინადადებას იძლევა დარჩეს კოსმოსის კომიტეტის ახლანდელი შემადგენლობა და დიმიტოს ნიგერისა და ჩაღის წარმომადგენლები.

საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლები, რომელებმაც გადაჭრით დაუჭირეს მხარი კომიტეტის მუშაობის პრინციპებს, რომლებიც საბჭოთა დელეგაციამ წამოაყენა. ადამიანის მიერ კოსმოსის დაპყრობის ერას, რაც დაიწყო საბჭოთა კავშირმა, რომელმაც კოსმოსში გაგზავნა იური გაგარინი და გერმანე ტიტოვი, თქვა, კერძოდ, ჩეხოსლოვაკიის დელეგატმა ქალმა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი კაცობრიობისათვის. ამიტომ უნდა უზრუნველყოთ ნაყოფიერი საერთაშორისო თანამშრომლობა. გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი გამოყენების კომიტეტის ეფექტიანი მუშაობა შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს თანასწორი წარმომადგენლობისა და თანხმობის პრინციპის დაცვის საფუძველზე.

ეს ხაზგასმით აღნიშნა თავის გამოსვლაში აგრეთვე უკრაინის სსრ დელეგატმა ლ. კიზიამ, რომელმაც დაწვრილებით ანალიზი გაუკეთა ოთხი ქვეყნის რეზოლუციის პროექტს.

ოთხი ქვეყნის რეზოლუციის პროექტი, რომელიც წარმოდგენილია პოლიტიკური კომიტეტის განსახილველად, თქვა ლ. კიზიამ, შეიცავს ზოგიერთ დადებით ელემენტს, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყონ საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას კოსმოსის გამოყენების საქმეში, მაგრამ ეს პროექტი მოიხოვს, კერძოდ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს დაეკისროს კოსმოსის შესწავლისა და გამოყენებასთან დაკავშირებული მრავალი სპეციფიკური ამოცანა.

ასეთი ამოცანები სრულიად უზვეულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოსათვის. ისინი უნდა დაეკისროს სწორედ კოსმოსის კომიტეტს. ოთხი ქვეყნის რეზოლუციის პროექტი აგრეთვე გვერდს უვლის უმნიშვნელოვანეს საკითხს კომიტეტის მუშაობის პროცედურის შესახებ. კოსმოსის კომიტეტის მიერ გადაწყვეტილებათა მიღება ხომ არ უნდა დაიშალოს ხმის მეკენილური უმრავლესობით. უნდა გონივრულად, მოთმინებით და ბეჯითად ვეძებოთ გადაწყვეტილებანი, რომლებიც მისაღები იქნება ყველასთვის. არადამაკმაყოფილებელია აგრეთვე რეზოლუციის პროექტის დებულება კომიტეტის შემადგენლობის შესახებ.

კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე უნგრეთის, ალბანეთას, შვეიცის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და იაპონის წარმომადგენლები.

ბრძოლები კონგოში

ლეოპოლდვილი, 6 დეკემბერი. (საკვლევი). მდგომარეობა ელიზაბეტვილში, სადაც ფეხი მოიკიდეს ქატანგელმა სეპარატისტებმა, კვლავ დაძაბულია. რომბეს ეანდარმერიამ და უცხოეთის დაქირავებულებმა დაიწყეს შეტევა ელიზაბეტვილში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების განლაგების წინააღმდეგ. წარსულ ღამეს ქატანგის რამდენიმე თვითმფრინავი ბომბავდა ელიზაბეტვილის აეროდრომს, რომელსაც კონტროლს უწევენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარები. ქალაქში გვიან ღამემდე არ შეწყვეტილა ტყვიამფრქვევისა და თოფის სროლა.

როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელი იუწყება, გუშინდელ შეტაკებათა შედეგად ქატანგის ჯარებსა, რომლებსაც მხარს უჭერდნენ უცხოეთის დაქირავებულნი, და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებს შორის მოკლეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების კაპიტანი, ხოლო მეორე ოფიცერი და ორი ჯარისკაცი მძიმედ დაჭრეს. დღეს დილით ელიზაბეტვილის ჩრდილოეთ ნაწილში გრძელდებოდა ძლიერი სროლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებსა და ქატანგის ეანდარმერიას შორის. ელიზაბეტვილში გადაყვანილი არიან ქატანგელ პარაშუტისტთა მაწყვეტი ძალები.

ქატანგში ბრძოლების განახლება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების წინააღმდეგ უცხოეთის დაქირავებულთა პროვოკაციების პირდაპირი შედეგია. როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების ელიზაბეტვილის შტაბმა გადმოსცა, მას ხელში ჩაუვარდა ქატანგის სამხედრო გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია უცხოეთის დაქირავებულთა და რომბეს ეანდარმერიის თავდასხმა ყველა პუნქტზე, რომლებსაც კონტროლს უწევს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. ახლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლებიც კი იძულებული არიან აღიარონ, რომ შეთანხმება ქატანგაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლებმა და ჩომბეს, ქატანგამ დადო ერთადერთი მიზნით — მოეგო დრო და მოეუვანა მაწყველი ძალები. ქატანგის სეპარატისტული მთავრობის „შინაგან საქმეთა მინისტრმა" მუნონგომ განაცხადა, რომ „ადარ იქნება არავითარი მოლაპარაკება, არავითარი შეთანხმება ქატანგაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ". ჩომბეს ბანდების პირდაპირი შეიარაღებული თავდასხმის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარები იძულებული იყვნენ დაეწყოთ სამხედრო მოქმედება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელმა ლეოპოლდვილში განაცხადა, რომ ახლა შეთანხმებამ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ყოველგვარი მნიშვნელობა დაკარგა.

ლონდონი, 6 დეკემბერი. (საკვლევი). ინგლისის გაზეთი „გარდიანი" დღეს აღნიშნავს, რომ საეჭვოა ინგლისის მთავრობამ მხარი დაუჭიროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოქმედებას ქატანგაში ახლაც კი, როცა ქატანგის ჯარებმა, რომელებსაც დაქირავებული თეთრკანიანი ოფიცრები ხელმძღვანელობენ, დაიწყეს შეტევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების წინააღმდეგ.

ქატანგაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოფილი წარმომადგენლის ო' ბრიენის მიერ გაკეთებული მხილების შემდეგ, რომელმაც განაცხადა, რომ ინგლისი და საფრანგეთი მოითხოვენ ქატანგის გამოყოფას კონგოსაგან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოვალეობის ამსრულებელმა უ ტანმა საჭიროდ მიიჩნია კონგოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების მოქმედების ოპერაციული სარდლობა გადასცეს ბრიგადის გენერალ ოდანელ (ინდოეთი). ო' ბრიენის გადადგომის შემდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარები დაექვემდებარნენ ინგლისელ ერკჰარტს. ეს შეცვლა, აღნიშნავს „გარდიანი", აიხსნება იმით, რომ ამერიკიდან არ არის რწმენა, თუ რა მეთოდებს მიმართავს ინგლისის მთავრობა, რათა დაიცვას თავისი პოზიციები ქატანგაში — რედ. შენიშვნა).

ნიუ-იორკი, 6 დეკემბერი. (საკვლევი). ამერიკის საინფორმაციო სააგენტოს ცნობებით, ამ შემდეგ, რაც ქატანგის ქვეგანყოფილები თავს დაესხნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებს, კონგოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებს სარდლობამ თავის რეკტიულ ავიაციას მისცა ბრძანება „დაიწყოს მოქმედება". რეკტიული თვითმფრინავების რაზმს ნაბრძანები აქვს იერიში მიიტანოს ქატანგის თვითმფრინავებზე ეადოვინის აეროდრომზე, რომელიც 65 მილზეა ელიზაბეტვილის ჩრდილოეთ-დასავლეთით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექვსი ხატრანსპორტო თვითმფრინავი დღეს ადგილზე ლეოპოლდვილიდან ელიზაბეტვილში და თან წაიღო ჯავშნიანი მანქანები და საზენიტო ქვემეხები.

მსოფლიოს მეგრძელთა ერთიანობა — აი რა არის მთავარი

რეპუბლიკური ბიბლიოთეკა

ქენევის თათბირზე

ქენევა, 6 დეკემბერი. (საკვლევი). გუშინ აქ ინგლისის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით გაიმართა მორიგი სხდომა სამი სახელმწიფოს თათბირისა ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ.

თათბირზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ს. კ. ცარაპკინი, რომელმაც წაიკითხა ტექსტი საბჭოთა მთავრობის განცხადებისა ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე მოლაპარაკების განახლებასთან დაკავშირებით, ხოლო შემდეგ უპასუხა მთელ რიგ შეკითხვებზე, რომლებიც დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა დააყენეს საბჭოთა კავშირის მიერ შეტანილ წინადადებასთან დაკავშირებით.

სამი სახელმწიფოს თათბირის მორიგი სხდომა გაიმართება 7 დეკემბერს.

ტელეგრაფი გვაცნობებს

ფრანკისტული ბერორის ახალი მსხვერპლი

ბარიზი, 6 დეკემბერი. (საკვლევი). ესპანეთიდან ბერ ბერ ბერ

დიმიტრი მანჟერონი: ჩვენი მეგობრობა მარადიულია

გაისმა ზარის ხმა. სტუდენტებმა აუდიტორიას მიაშურეს. დღეს აქ, მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტებისათვის ორი ლექტორი კითხულობს ლექციას, ერთი — მათივე ინსტიტუტის დოცენტი დ. ქათამაძე, მეორე — გამოჩენილი რუმინელი მეცნიერი, იასის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამოყენებითი მათემატიკის კათედრის გამგე პროფესორი დიმიტრი მანჟერონი, რომელიც უკვე ერთი კვირაა თბილისში იმყოფება საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოწვევით.





სტუმარი სტუდენტებს ესაუბრება იმ ერთობლივ მუშაობაზე, რომელსაც ეწევიან რუმინელი და ქართველი მეცნიერები. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ იგი პროფესორ დ. თავხელიძესთან ერთად მუშაობს საკითხზე — დაყვანილი აჩქარების მეთოდის გამოყენება მექანიზმების თეორიის ზოგიერთი ამოცანის გადაწყვეტის დროს და რომ ეს შრომა უკვე გამოქვეყნდა რუმინეთში.

ამჟამად რუმინელი მეცნიერი დოცენტ ქათამაძესთან ერთად მუშაობს საკითხზე — მექანიზმების თეორიის ზოგიერთი ამოცანის გადაწყვეტა ტანგენსიანურ კოორდინატებში.

— ამ შრომას, — მიმართა მან აუდიტორიას, — მალე გაეცნობით თქვენი ინსტიტუტის სამეცნიერო შრომებში.

ლექციის დასაწყისში რუმინელმა მეცნიერმა დაფაზე დაწერა განტოლების ფორმულა, რომელიც მან თბილისში ყოფნის დროს შეიმუშავა.



ბატონ დ. თავხელიძეს.
ბრიგადირ დიმიტრი მანჟერონი
1961 წ. 7/XII

რუმინელი პროფესორის დ. მანჟერონის სახელი კარგად არის ცნობილი მექანიკა-მათემატიკის დარგში მომუშავე სპეციალისტებისათვის. იგი არის 100-ზე მეტი ფუნდამენტური შრომის ავტორი, რომლებიც გამოქვეყნებულია მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე. მანჟერონი არის იასის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჟურნალის რედაქტორი, რომელიც გამოდის რუმინულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ და იაპონურ ენებზე. აღსანიშნავია, რომ თვით მანჟერონმა იცის 14 ენა. ამჟამად იგი სწავლობს ქართულ ენასაც.

ლექციის დასასრულს ვესაუბრეთ რუმინელ პროფესორს. მან გვითხრა, რომ იგი კარგად იცნობს ქართულ კულტურას, ჩვენს მუსიკას, ხელოვნებას, ლიტერატურას.

რუმინელი მეცნიერი პირველად თბილისში 1958 წელს ჩამოვიდა. მაშინ აქ მხოლოდ ორიოდე დღე დაჰყო. გაეცნო ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, დაუახლოვდა ქართველ მეცნიერებს.

დასასრულ რუმინელმა მეცნიერმა გვთხოვა გულთბილი სალამი გადაგვეცა ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის და ავტოგრაფიც გადმოგვცა.

ლ. ხუბულური.

* * *

ხურათებზე: მარჯვნივ — ზევით პროფესორი დ. მანჟერონი; მარცხნივ — დ. მანჟერონი ლექციაზე; დ. მანჟერონი ესაუბრება პროფესორ დ. თავხელიძეს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

მოსკოვის დროით

თბილისის სამგზავრო სადგურში 1961-62 წწ. ზამთრისათვის სამგზავრო მატარებლების განრიგება (1961 წლის 1 დეკემბრიდან)

								თბილისიდან გადის			ბოლო სადგურში ჩადის	
											ს.	წ.
ჩქარი	№	14	მოსკოვამდე	18	ს	45	წ.	ყოველდღე			14	59
„		33	ერევნამდე	21		27		„			7	30
„		34	მოსკოვამდე	11		40		„			10	44
სამგზავრო		41	ბაქომდე	17		16		„			8	50
„		44	ქუთაისამდე	12		25		„			19	35
„		46	ათუმამდე	20		31		კენტ რიცხვებ.			7	16
„		50	ფოთამდე	22		48		ყოველდღე			7	55
„		52	ბათუმამდე	21		25		„			7	22
„		54	მახარაძემდე	23		59		„			11	15
„		55	ბაქომდე	9		10		სუჭიროებ. მიხ.			21	20
„		62	როსტოვამდე	22		21		ყოველდღე			5	49
„		64	ოჟამდე	20		51		ლუწ რიცხვებ.			11	48
„		66	ბორჯომამდე (სექცია)	8		20		ყოველდღე			12	32
„		70	ბორჯომამდე (სექცია)	16		50		„			21	00
„		72	ვალედმდე	22		58		„			6	42
„		73	ერევნამდე	8		18		„			20	30
„		75	ერევნამდე	17		53		„			6	43
„		79	თელავამდე	12		10		„			17	56
„		81	თელავამდე	23		58		„			5	31
საგარეუბნო		302	აუოამამდე (სექცია)	6		31		„			10	05
„		304	ცხინვალამდე (სექცია)	10		47		„			14	13
„		306	ცხინვალამდე	14		35		„			18	36
„		308	გორამდე (სექცია)	15		41		„			17	40
„		310	გორამდე (სექცია)	19		22		„			21	41
„		313	გარდაბანამდე (სექცია)	6		50		„			7	40
„		315	გარდაბნამდე (სექცია)	13		02		„			14	12
„		317	გარდაბნამდე (სექცია)	13		52		„			14	57
„		325	გარდაბნამდე (სექცია)	20		57		„			22	12
„		329	აქსტაფამდე (სექცია)	5		04		„			7	29
„		331	აქსტაფამდე (სექცია)	16		47		„			19	08
„		333	იანაინამდე (სექცია)	5		50		„			9	56
„		335	ოდანლუდამდე (სექცია)	4		44		„			5	15
„		337	ლილომდე (სექცია)	6		52		„			7	32
„		339	ლილომდე (სექცია)	14		56		„			15	36

								თბილისში მოდის			მოპრუნების სადგურიდან გამოდის	
											ს.	წ.
ჩქარი	№	13	მოსკოვიდან	13	ს.	00	წ.	ყოველდღე			16	50
„		33	მოსკოვიდან	21		00		„			22	35
„		34	ერევნიდან	11		16		„			23	10
სამგზავრო		42	ბაქოდან	14		25		„			21	55
„		43	ქუთაისიდან	6		43		„			23	50
„		45	სოხუმიდან	9		27		კენტ რიცხვებში			22	00
„		49	ფოთიდან	4		55		ყოველდღე			19	10
„		51	ბათუმიდან	7		05		„			21	10
„		53	მახარაძიდან	5		30		„			19	50
„		56	ბაქოდან	19		52		საჭიროებ. მიხ.			7	10
„		61	როსტოვიდან	10		25		ყოველდღე			0	45
„		63	ოჟიდან	9		27		ლუწ რიცხვებში			18	03
„		65	ბორჯომიდან (სექცია)	22		00		ყოველდღე			18	07
„		69	ბორჯომიდან (სექცია)	9		10		„			5	20
„		71	ვალედან	17		24		„			10	00
„		74	ერევნიდან	21		15		„			8	40
„		76	ერევნიდან	7		00		„			17	00
„		80	თელავიდან	4		30		„			22	39
„		82	თელავიდან	14		05		„			8	25
საგარეუბნო		301	სურამიდან (სექცია)	14		49		„			11	25
„		303	ცხინვალიდან (სექცია)	18		24		„			15	12
„		305	ცხინვალიდან	6		22		„			2	40
„		307	გორიდან (სექცია)	20		10		„			17	58
„		309	გორიდან (სექცია)	23		53		„			22	09
„		312	გარდაბნიდან (სექცია)	7		42		„			6	23
„		314	გარდაბნიდან (სექცია)	9		05		„			7	54
„		316	გარდაბნიდან (სექცია)	15		44		„			14	33
„		318	გარდაბნიდან (სექცია)	16		59		„			15	21
„		320	გარდაბნიდან (სექცია)	17		42		„			16	24
„		322	გარდაბნიდან (სექცია)	19		37		„			18	27
„		324	გარდაბნიდან (სექცია)	20		23		„			19	12
„		326	გარდაბნიდან (სექცია)	0		49		„			23	39
„		330	აქსტაფიდან (სექცია)	10		24		„			8	05
„		332	აქსტაფიდან (სექცია)	21		55		„			19	23
„		334	ხანაინიდან (სექცია)	18		06		„			14	26
„		336	სოდანლუდიდან (სექცია)	6		24		„			5	46
„		338	ლილოდან (სექცია)	8		24		„			7	45
„		340	ლილოდან (სექცია)	17		23		„			16	38

ამგზები, ფაქტები, ცნობები

გორული კონსერვები კუბელებს

გორი. (საკ. კორ.). რკინიგზის გორის სადგურიდან გავიდა კონსერვებით დატვირთული კიდევ ერთი ვაგონი, რომლითაც გორული კონსერვები იგზავნება რევოლუციური კუბის მშრომელთათვის. კონსერვები დამზადებულია ახალი მოსავლის ხილისაგან.

სასოფლო ბიბლიოთეკები

ცაგერი. (საკ. კორ.). ყოველწლიურად ფართოვდება რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი. ამ დღეებში გაიხსნა გვეესის სასოფლო ბიბლიოთეკა. პირველ დღეებიდანვე მას მრავალი მკითხველი ეტანება.

წოფერჩის სასოფლო ბიბლიოთეკა, რომელიც შეუფერებელ ბინაში იყო მოთავსებული, ახალ შენობაში გადატანეს. იგი ახალი წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით შეივსო.

შეხვედრა მკითხველებთან

ამ დღეებში ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა შეხვედრა მოუწყეს სკკპ XXII ყრილობის დელეგატს — პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძეს.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანმა გრ. ბარამიძემ.

„ირაკლი აბაშიძის შემოქმედებითი გზა“, „ირაკლი აბაშიძის პოეტური ენის ზოგიერთი თავისებურება“ — ასეთი იყო თემები მოხსენებებისა, რომლებიც წაიკითხეს სტუდენტმა ჯ. ჩხენკელმა და თ. სუპატაშვილმა.

განსაკუთრებული ყურადღებით იქნა მოსმენილი ფილოლოგიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტის ნ. ბელეკეკაის მოხსენება: „ირაკლი აბაშიძის მოგზაურობა პალესტინაში“. ნიჭიერმა სტუდენტმა დამსწრეთ მიმზიდველად გააცნო პალესტინაში ქართველ მეცნიერთა დელეგაციის საქმიანობისა და რუსთაველის სურათის მოკვლევის ამბავი, საუკეთესო შეფასება მისცა ირ. აბაშიძის „პალესტინის დღიურს“.

ირ. აბაშიძეს გულთბილად მიესალმნენ პროფესორები ა. გაწერელია, ა. ღლონტი, დოც. დ. ქუმსიშვილი.

პოეტმა რ. მარგიანმა წაიკითხა ლექსი.

ირ. აბაშიძემ მადლობა გადაიხადა გულთბილი შეხვედრისათვის და წაიკითხა გამოუქვეყნებელი ლექსი.

ინტერესო სიახლენი

პრეპარატი „არტანი“

თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა 60-მდე სხვადასხვა დასახელების პრეპარატს უშვებს. აქ დამზადებული წამლები კორტიზონი, ციკლოსერინი, ექსტრაქტ ვალერიანი, სულფადიმეზინი და სხვ. მრავალი სახის დაავადების რადიკალური სამკურნალო საშუალებაა.

ამჟამად ქარხნის კოლექტივი მუშაობს ახალი სინთეზური პრეპარატის „არტანის“ დამზადებაზე, რომლის სერიული წარმოება დაიწყება დეკემბერში. „არტანი“ განკუთვნილია ყველა სახის პარკინსონიზმის სამკურნალოდ.

ამ ქარხნის პროდუქცია იგზავნება როგორც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში, ისე საზღვარგარეთ, უმთავრესად სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

ახალი ინტერნატი

ონი. (საკ. კორ.). ბარის შვიდწლიანი სკოლის მოსწავლეებმა ამას წინათ შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს. მათთვის გაიხსნა ახალი ინტერნატი, რომელიც ძირითადად შორეული მთის სოფლებიდან ჩამოსულ მოსწავლეებს ემსახურება.

სახეს იცვლის...

ქობულეთი. (საკ. კორ.). წელს ათ თვეში მუხანსტატეს საბჭოთა მეურნეობის მუშაობა და აგროსპეციალისტთა 30-ზე მეტმა ოჯახმა მიიღო ორ და სამოთახიანი ახალი ბინა. აშენდა ახალი სასურსათო მაღაზია, აბანო-სამრეცხაო. გადაკეთდა საპადილო.

ციტრუსოვანთა ბაღების დიდად დაკანგულ ფართობებზე მოეწყო საბავშვო ბაღები, რომელთა საშუალებით ხდება საბუქების გადატანა, ციტრუსოვანთა ნაყოფის გადაზიდვა და სხვ.

მიწისძვრა კურილის კუნძულების რაიონში

მოსკოვი, 7 დეკემბერი. (საკდესი). სეისმოლოგიურ სადგურმა „მოსკოვმა“ გუშინ 19 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით აღნიშნა ძლიერი მიწისძვრა.

საბჭოთა კავშირის სეისმური სადგურების მასალების წინასწარი დამუშავების მონაცემებით, ამ მიწისძვრის ეპიცენტრია მოსკოვიდან 7 ათას კილომეტრ მანძილზე.

ეპიცენტრის დაახლოებითი კოორდინატებია ჩრდილოეთის განედის 50 გრადუსი და აღმოსავლეთის გრძედის 155 გრადუსი — კუნძულ პარამუშირის (ყურილის კუნძულები) სამხრეთით.

ეპიცენტრის შესაძლო ძალაა 8-9 ბალი 12 ბალიანი სკალის მიხედვით.

იუმორისტული მოთხრობა

—ა!.. მაგ რა სათქმელია... — შეკრთა გოგიტა.

მაგრამ ისე ნატერა შეგისრულდეთ, როგორც გოგიტას ამხანაგებს ხუმრობით გადაკრული გაფრთხილება აუხდათ. ეს ჩუმი, უწყინარი, მშობლების მოსიყვარულე ჭაბუკი ისე მოიხიბლა ქალაქის ეშხით, ისე გარდაქმნა... სოფელში წერილის დასაწერად კი არა, დასაძინებლადაც აღარ რჩებოდა დრო.

გოგიტას უჩვეულო ღიმილმა შეაშფოთა სოფელში ყველა და ახლა იქიდან აქეთ მოაწყდა წერილების ნაკადი.

— მცალია ამ წერილებისათვის?!.. — ტუჩი აიბზუა გოგიტამ, ამრეზით გადახედა მაგიდაზე დაყრილ წერილების გროვას და მიწვა საწოლზე მოსასვენებლად. არც შეიწუხებდა თავს, მაგრამ საფულე გათხელებული მოეჩვენა. იკადრა ფოსტაში წასვლა, დიდაცხელად გაუსვამოესვა კალმისტარი ბლანკს და გაკრული ხელით მიაწერა: „ჯანმრთელობას არ ვეჩივი, ფულს იმავე მისამართზე ვიღებ, გკოცნით თქვენი გოგიტა“.

— იმას შემოვევლე, ვინ იცის რა ღონეა და კიდევ აქეთ გვეპოდმეშება, ჯანმრთელობას არ ვუჩივიო. ჩამომიყვანე ჩემი ბიჭი, ნესტორა... აგრონომის ნახევარი საქმე ხომ შეითვისა? დანარჩენი აპატონ... რა ვქნა, სწავლას ხომ არ უნდა შეეკალა, საბოლოო ბალანმ, თავი! — ლოყები ჩამოიკაწრა კიბილით ელისაბედმა და დანარჩენმა შვილებმაც ბანი მისცეს.

ნესტორი პირველი მატარებლითვე გამომემგზავრა თბილისში. შვილს შძინარეს მოუსწრო. გოგიტა ძვირფას პიჟამოში იწვა და უდარდელად ხრეტტენდა. მამამ ახედ-დახედა შვილს და გულჩუყებული მიეხუვარულა:

— შენი ჭირიმე, გოგიტა... მამის იმედი ხარ, ბიჭო...

გოგიტა ზანტად გაიზმორა, ცალი თვალი გაახილა და მამის სახეს რომ წააწყდა, უმალვე წამოჯდა საწოლზე.

— მამი, შენ?!.. რაო, მივლინებაში ჩამოხვედი?

— შენმა დეპეშამ აგვაფორიაქა, შვილო... — კი იცი დედაშენს ცუდათ რომ აქვს დეპეშები დაცდილი. ჰოდა, ახლაც ვიფიქრეთ, ვაი თუ...

— ო, რა მავნე გადმონაშთია ცრუმორწმუნეობა!.. ამ ატომისა და რაკეტების ხანაში გაიზარდა, მამაჩემო, ადამიანის ინტელექტიც. ცივილიზაციამ უმაღლეს დონეს მიაღწია. ვიღა ხარჯავს ოქროს წუთებს წერილებზე. საკითხები სწრაფად წყდება. სისწრაფეს კი ლაკონიურობა უყვარს და მაშასადამე, გზა დეპეშას!.. აბა, შენც რაზე შეწუხდი ახლა, გამოგეგზავნა ფული ფოსტით.

— დედაშენი, შვილო, ჯავრით ლამის გათავდა, რა გამაჩერებდა სახლში.

— მაინც რა იფიქრეთ, რა უნდა მომსვლოდა?.. ძალას ვგრძნობ მკლავებში ისეთს, მთების გადაბრუნება შეშძლია. არ მეტყობა თუ?

— ო, შენ გიიხარე შვილო, როგორც მე გამახარე მაგ სიტყვებით. აი, მორჩები სწავლას, ჩამოხვალ სოფელში და იცოცხლე, იმდენი სამუშაოა, მართლა მთებია გადასაბრუნებელი.

— აუ!.. მაგის იმედი გაქვს მამაჩემო, რომ მე... სოფელში დავბრუნდები?!. — თავმოწონედ გაეღიმა გოგიტას და სკამზე გადაკიდებულ ქეთქეთა ხალათსა და ძვირფას ჰალსტუხს წკიპურტი მტვერი აეცალა. — სოფელში რა მინდა, შე კაი ადამიანო!

— აბა, როგორ, მუშაობას არ აპირებ?..

— მერე... განა თბილისში ცოტაა სამუშაო?! თუ... ნათესავებში გამოწყვეტილები ვართ და ჩემს დაბინავებაზე არავინ შეიწუხებს თავს?

— კი მაგრამ... შენი სოფელი?.. მე და დედაშენი?.. — გაშტერდა ნესტორი.

— ჰმ!.. თქვენ არ იყავით, ძალათ რომ გამომაგდეთ თბილისში?! ძალათ მომწყვიტეთ ჩემს საყვარელ ლამაზ სოფელს, სულ ჯიკაობით ჩამომიყვანეთ ამ ვეებერთელა ქალაქში და ახლა ისევ უკან მეჭიჭებით?!.. არა, არა მამაჩემო... მე, თამოყვარე კაცი ვარ და უკან სოფელში, ვერ დავბრუნდები! — არტისტული პათოსით წამოიძახა გოგიტამ.

ნესტორს ფერი ეცვალა. გულმოკლეული წამოდგა. სახლიდან ჩამოტანილი ძღვენით სავსე ხურჯინი ისევ მხარზე გადაიკიდა და კარისკენ გაემართა მძიმე ნაბიჯით.

— სადა, მამი?

— შინ... სოფელში!

— კი, მაგრამ... სახარჯოთ მაინც ფულს არ მიტოვებ?! — ხმა გაებზარა შვილს.

—თავმოყვარე კაცს ეგ შეურაცხყოფა როგორ გაკადრო! — მკცრად უთხრა მამამ და კარს მიაშურა.

ნანა კანდელაკი.

ოქმაყვარე

ოქმაყვარეს

... ...

... ...

... ...